საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/22

ქ. ბათუმი 18 აპრილი, 2017 წ

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (1 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მოადგილის, ნანა ყურშუბაძის 2017 წლის 12 აპრილის MES 2 17 00355516 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (1 საგრანტო პროექტის) ფარგლებში უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ზალცბურგის უნივერსიტეტი) სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს საკონკურსო ვადები:

   ა) საბუთების მიღება - 2017 წლის 18-19 აპრილი (18:00 საათამდე) - ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით და ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სამსახურის დახმარებით): http://registration.bsu.ge/Registration-2.php.

   ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება 2017 წლის 20 აპრილი - (სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

   გ) გამოცდა (ფორმა- ტესტირება) 2017 წლის 21 აპრილი - ინგლისურ ენაში (B1.2. დონე) საგამოცდო ცენტრში;

   დ) გასაუბრება - 2017 წლის 25 აპრილი - (შესარჩევ კომისიასთან , ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35, მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35) .

2. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს ,,2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (3 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის

დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 24 მარტის №01-08/13 ბრძანებით დამტკიცებული ,,2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (3 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი"-ს შესაბამისად.

3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) მერაბ ხალვაში - ბსუ-ს რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

   ბ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

   გ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

   დ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

4. კომისია უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე დაადგინოს გასაუბრების განრიგი და მოიწვიოს სხდომაზე ხმის მიცემის უფლებით, შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, ასევე მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საგრანტო პროექტიდან.
5. კომისიამ იხელმძღვანელოს საგრანტო პროექტებისა და წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე), რისი უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და კანცელარიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**